საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „სულფეკო“ ქ. რუსთავში მშვიდობის ქუჩა N2-ში მდებარე შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“-ს მანგანუმის ოქსიდის საწარმოში იჯარით აღებულ ტერიტორიაზე გეგმავს გოგირდმჟავას საწარმოო ხაზის პროექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს პირველი დანართის 8.3. პუნქტის („ძირითადი ორგანული ნაერთების წარმოება“) მიხედვით დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილ საქმიანობას გავლილი აქვს სკოპინგის პროცედურა, რაზედაც 2019 წლის 16 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია სკოპინგის დასკვნა № 130, რომელიც გაცემულია შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“-ს სახელზე. სკოპინგის ანგარიშის სამინისტროში წარდგენის შემდეგ შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“-მ მიიღო გადაწყვეტილება დაგეგმილი საქმიანობის ახალი კომპანიის სახელით განხორციელების თაობაზე რისთვისაც შეიქმნა შვილობილი კომპანია შპს „სულფეკო“. შპს „სულფეკო“-ს 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“.

წარმოგიდგენთ განსახილველად გოგირდმჟავას საწარმოო ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ის ანგარიშს და გთხოვთ შესაძლებლობის შემთხვევაში შპს „სულფეკო“-ს სახელზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);
- მანგანუმის ოქსიდის ქარხანაში ახალი ტექნოლოგიური ხაზის (გოგირდმჟავის წარმოების) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარეოზე ზემოქედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით);
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნოვთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი 01 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „სულფეკო“-ს რეგისტრაციის თაობაზე;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საპროექტო ტერიტორიების გეოგრაფიული კოორდინარები GIS-ის სისტემაში.

პატივისცემით,

მიხეილ ბუსხრიკიძე

შპს „სულფეკო“-ს დირექტორი

SULFECO
GEORGIA, "SULFECO" LTD
416350059

№ 6504
"28" 04 2020